№ 260

პარასკევი, 1 დეკემბერი 1895

1877—1895

# ივერია

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 260

პარასკევი, 1 დეკემბერი 1895

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერია“

გამოვა 1896 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

**წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების** წინარეხის სკოლაში დაცლილია მასწავლებლის ადგილი. ვისაც ჰსურს ამ სკოლაში მას წავლებლად განწესება, თხოვნა უნდა შეიტანოს საზოგადოების გამგეობაში. ჯამაგირად ეძლევა მასწავლებელს 360 მანეთი. ამას გარდა ექნება სადგომი და სათბობად სკოლისგან მიეცემა შეშა.

29 ნოემბ. 1895 წ.

(3—2)

**ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთა წინამძღოლი** მოიწვევს თავად-აზნაურობას გუბერნიისასა, განსაკუთრებულ საგუბერნიო კრებაზე, რომელიც შესდგება ტფილისის თავად აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის სადგომში ჩვიდმეტს მომავალს დეკემბრისასა, ათს საათზე დილით, ამოსარჩევლად ორის დეპუტატისა, დასასწრებლად აწ მდგომიარე უწმინდესის გვირგვინოსნობისა მათის იმპერატორებით უდიდებულესობათა.

(3—6—2).

**ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი ს. გ. წერეთელი** ამით აუწყებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომ 1876 წ. კანონთა კრებ. IX ტ. 83 მუხლის ძალით 1895 წ. 16 დეკემბერს, დილის 10 საათზე, დანიშნულია თავად-აზნაურთა საგანგებო კრება, რომელზედაც ამორჩეულ უნდა იქმნენ ასისტენტები გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისათვის, რათა მათის იმპერატორებითი უდიდებულესობის გვირგვინის კურთხევას დაესწრნენ მომავალს წელს მაისში. (1—6—1).

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

**კრებული**

არითმეტიკულის ამოცანებისა და რიცხვითის მაგალითებისა.

მოსამზადებელი კურსი

შედგენილი

რ. ჯაჯანაშვილის მიერ

გამოცემა მესამე,

შეუცვლელად გადმობეჭდილი მეორე გამოცემიდგან, რომელიც მოწონებულია სახელ-მძღვანელოდ კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამზრუნველო რჩევისაგან.

ფასი ხუთი შაური.

10—6

## ახალი ამბავი

—

*** კავკასიის მთავარ-მართებელმა წინადადება მისცა ყველა გუბერნატორებს და ოლქის უფროსებს მოახდინონ საჭირო განკარგულება, რათა მათი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ მეორის და ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის სამეფო გვირგვინის კურთხევას დაესწრნენ წოდებათა და ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენელნი. წარმომადგენელნი უნდა იყვნენ არჩეულნი თავად-აზნაურთაგან, მოქალაქეთაგან და სოფლის მცხოვრებთაგან თანახმად შინაგან მინისტრის განკარგულებისა. თავად-აზნაურთა წარმომადგენელად უნდა იყვნენ: თავად-აზნაურთა წინამძღოლი და ორიც არჩეულნი თვით თავად-აზნაურთაგან. მოქალაქეთაგან: ქალაქის თავი და ორიც თვით მოქალაქეთა შორის არჩეული. სადაც ჯერ არ არის შემოღებული ქალაქის თვით-მმართველობა, იქიდამ დანიშნულ უნდა იყვნენ ორი წარმომადგენელი. სოფლებიდამ— მამასახლისი თითო მაზრაზე ან ოლქზე და თითოც მცხოვრებთაგან, აგრეთვე თვითეულ მაზრაზე ან ოლქზე. იმ ადგილებიდამ, სადაც სხვა-და-სხვა ტომის ხალხი სცხოვრობს, შეძლებისამებრ უნდა დაესწრნენ თითო წარმომადგენელი ყველა ტომისა. კავკასიის თავად-აზნაურთა წარმომადგენელ დეპუტატებს შეუძლიანთ, როგორც 1883 წელს, ჩაიცვან თავად-აზნაურთა ფორმის მუნდირის მაგიერ ნაციონალური ტანისამოსი. ვინც ცხენებით იქმნებიან, ნება აქვთ ისე მორთონ ცხენები, როგორც ადგილობრივი ჩვეულება მოითხოვს.

ამის გარდა მთავარ-მართებელი გუბერნატორებს და ოლქის უფროსებს აუწყებს, რომ დეპუტაციათა სია წარდგენილი იყოს 20 დეკემბრამდის. ამასთანავე თუ შეუძლებელია დეპუტატთა მოსკოვში წასასვლელი ხარჯი შეიწირონ თვით დეპუტატებმა ან საზოგადოებამ, მაშინ ხაზინა გადაიხდის, ხოლო ამის გამო ცნობები უნდა იქმნას წარმოდგენილი.

*** დღეს, 1-ლ დეკემბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზე კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებას მორიგი სხდომა აქვს, რომელზედაც მოწვეულ არიან საზოგადოების წევრნი. სხდომა განიხილავს მიმდინარე საქმეებსა და სამეცნიერო მოხსენე-

## ფელეტონი

### მეოთხე რეხა.

(მგზავრის წერილები)

წერილი მეორე.

ბრძოლა ცხოვრების მეჯლისზე.

შემდეგი*)

III

ტაბაწყურის ტბის ნაპირებზე ნასიამოვნები და ახალის კალმახით პირ-ჩაგემრიელებულნი, შევსხედით ცხენებზე და მგზავრობა განვაგრძეთ.

აგერ სოფ. წითელ-საყდარიც გამოჩნდა, რომელიც ტბის ჩრდილო ნაპირს მდებარეობს საბორჯომოში და საციციანოს ესაზღვრება.

ერთმა ბერიკაცმა ამიხსნა:

— უწინ, საქართველოს მეფობის დროს, თურმე აქ ურჯულონი დაეცნენ სოფელს და აღდგომა ღამეს ცისკარზე ეკკლესიაში მთლად ამოსწყვიტეს მლოცველნი და მათის სისხლით ეკკლესიის კედლები მთლად წითლად შეიღება—აღარ დასცალდათ საწყლებს წითელის კვერცხის გაფცქვნა! მას აქეთ დაერქვა საყდარს ყიზილ ქილისა (წითელი საყდარი) და ამის გამო სოფელიც წითელ-საყდრად იწოდება“...

— ეჰ! არც ჩვენები აკლებდნენ თათრებს; იმათი ბაირამი რომ მოვიდოდა თურმე, ჩვენებიც, ღვთის წყალობა გქვთ, სამაგიეროს გადაუხდიდნენ ხოლმე“—დაუმატა მეორე ბერიკაცმა.

მე-კი ჩემს გულში ვფიქრობდი: ღმერთო ჩემო! სულ ბრძოლა და ბრძოლა ცხოვრების მეჯლისზე, ნეტა როდის დადგება ის ნეტარი დრო, რომ ერთი სამწყსო იყოს და ერთი მწყემსი ჰყავდეთ ამ აუარებელ კაცობრიობას...

აგერ აბულის მთაც გამოჩნდა თავმოსვლეპილი.

„აბულო მთაო მაღალო,
შეზდილო, შევაკებულო“.

ამისთანა უზარ-მაზარ მთას უეჭველია შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა ჯავახელებზე და ამიტომაც გამოუთქვამს ხალხს ეს ლექსი, რომელიც მართლა რომ ზედ გამოჭრილია. ათი ათას ფუტზე უმაღლესი მთა ისეა „შეზდილი და შევაკებული“, რომ გაუჭირვებლივ ახვალთ ზედ.

ვიცოდი, რომ აბულის მთა ჯავახეთისათვის ნამდვილი ბარომეტრია—ამინდის მაჩვენებელი,—მაგრამ იმასკი აბა როგორ წარმოვიდგენდი, რომ ჯავახეთისათვის ყველა მნათობი უეჭველად აბულთან ამოდიოდა. წუხელ გაკვირვებული დავრჩი. გეგონებოდათ აბულს მოჰფარებიან გრძნეულნი და თავისს ასტრონომიულ ლაბორატორიიდამ საათ-საათობით გვიგზავნიან მოძრავ მნათობებსაო.

ჯერ ხომლი ამოვიდა, მერე საათის ათზე რომელიღაც ბრჭყვიალა ყვითელი ვარსკვლავი; მეორე საათის დასაწყისზე ხარიპარია ამოციმციმდა, მესამე საათის დასაწყისზე ცისკრის ვარსკვლავი ამოკაშკაშდა, მერე საათის ოთხზე პატარა აბულთან ალიონი ცას ცეცხლივით მოეკიდა და ბოლოს ამოსხივდა თვით მზე მნათობთა ნათელის მიმნიჭებელი.

—

ჩემმა თანამგზავრებმა მიმითითეს ერთს ნანგრევზე.—უწინ ამ ადგილებში ძლიერ შიშიანობა იყოო და ამიტომ აქ ამ ტბის ახლო ყაზახები იდგნენო (Казачій постъ). არც ეხლაა მგზავრისათვის ეს გზა უშიშარი—ზამთარში ნამქრის შიშია და ზაფხულში ბორჩალოს თარაქამები ნავარდობენო.

აი კიდეც ამიტომაა საჭირო ქართველების დასახლება ხუმრისსა და მოდეგიაში, რათა ზაფხულობით ავაზაკობა შესწყდეს და ზამთარში კიდევ წალკისკენ გზა არ შეიკრას ამ მთებზეო. მგზავრისათვის ძლიერ სახერხო ადგილია ს. ხუმრისი, რომ თავი შეაფაროს უამინდობას.

— გაგვიჭირეთ საქმე თქვენის ხუმრისით და მოდეგიითაო!—გაჯავრებულის კილოთი შესძახა ერთმა ჩვენმა „კაკარდოსანმა“ თანამგზავრმა.

— გვიჭირს, გული გვეწვის, შეებაასა ბარალელი და ამიტომაც ყველას თავი მოვაწყინეთ. არა, ერთი გვიბრძანეთ: „შინ რომ ობლებს შიოდეთ, გარედ ტაბლას რა უნდა“? ქართველობას რომ გვიჭირს, მაშ სხვას რად უნდა მიეცეს ჩვენი მამა-პაპის ნასოფლარები, სხვა რჯულის ხალხს რად უნდა ჩაუვარდეს ხელში ჩვენი ეკკლესიები ხუმრისისა და მოდეგიისა, სხვას რად უნდა ვალანძღვინოთ ჩვენი მამა-პაპის სასაფლაოები, ვინ გაუხდება ჭირისუფალი იმათ ძვლებს?..

— „ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ“—მივუგე მე.

— რა ვქნათ, ე ოხერი, რო არა გვაქვს ქართველებს იმდენი მოხერხება და გაბედულობა. აი რა მოგახსენოთ:

„მოდეგია რო იჯარით აზავრეთელ სომხებს მისცეს, მთავრობამ ხელ-წერილი ჩამოართვა და სასტიკად აღუკრძალა არამც და არამც არ გაბედოთ არაფერი შენობა არ ააშენოთ და არ დასახლდეთ მოდეგიაშიო—მხოლოდ-კი შეგიძლიანთ ზაფხულობით მოიხმაროთ მოდეგიის მამულებიო.

„ახლა როგორ გგონიათ? დაურიდებლად ასულან მოდეგიაში აზავრეთელი სომხები, აუშენებიათ სახლები 15 კომლს და არხეინად სცხოვრობენ; აბა ჩვენი ქართველი კაცი გაბედამდა, მოახერხებდა“?..

მე-კი მაინც იმ აზრისა ვარ... აქ არც გასაკვირველია რამე და არც საწყენი. აქ მხოლოდ ბრძოლაა ცხოვრების მეჯლისზე და სხვა არაფერი.

მე-კი რო მკითხოთ, აქ დასაძრახი არაფერია; ეგ მხოლოდ მოასწავებს გადაჭარბებულ მადას ცხოვრების მეჯლისზე. ცოტა ხანს შემდეგ გადავედით კამეჩის მინდორზე. უწინ როდისღაც შემოდგომის პირზე წალკიდამ მომავალ კამეჩობასთვის აქ უცებ თოვლ-ჭყაპს მოუსწვრია და მერე ბუქ ნამქერს და სიცივეს კამეჩობა მთლად გაუწყვეტია. მას აქეთ დარქმევია ამ ტრიალ მინდორს კამეჩის მინდორი.

ეს ამბავი დიახაც რო დასაჯერებელია. 1876 წ. ღვინობისთვის 13-ს ბორჯომის გზაზე მთის ქედის გადმოსაკალზე ცხრა წყაროსთან ოლავერდელ სომხებს მეურმეებს უსწრო თოვლ-ჭყაპმა და მერე ისეთი საშინელი ნამქერი ასტყდა, რომ 40 კაცი დაარჩო და 85 ხარი კამეჩი. ამათ ქერები წაეღოთ ქირით ახალქალაქიდამ ხაშურში და ცალიერები რომ დაბრუნებულან, მაშინ უსწვრია მოულოდნელად ამ უბედურებას.

საქონელი მაინც რომ გამოეშვათ, არც ერთი არ დაირჩობოდა, რადგან რომელსაც ძალად ტაბიკები გამოუმტვრევია, შინ გაქცეულა და გადარჩენილა.

თუმცა-კი თოვლი დიდი არ მოსულა, მაგრამ შეშინებულ ხალხს დავთრები დაჰკარგვია და მის მაგივრად რომ ერთად შეგროვილიყვნენ და ღონე ეღონათ, ყველა თურმე თავისთვის გარბოდა და დაქსაქსულები დამრჩვალიყვნენ. ერთი კაცი ვერავინ გამოჩნდა ამდენ ხალხში, რომ მოესაზრა ერთად შეეკრიბნა ამდენი ხალხი, ირგვლივ დაედგათ ურმები, რამდენიმე ურემიც თუნდაც შეშათ დაემტვრიათ, დაენთოთ დიდი ცეცხლი, ერთი ხარიც თუნდ მწვადებად შეეწვათ და გამოდარებამდე ასე გაეტარებინათ დრო.

აი სად იყო ლევ ტოლსტოი, რომ არ აღწერა ფსიხიური მდგომარეობა ამდენა ხალხისა—მის „Хозяинъ и работникъ“-ს ბევრად აჯობებდა.

IV

კამეჩის მინდვრიდამ შევუდექით ხრიაკ აღმართს, თავ-გვეთილა და შავ-ნაბადა მთებს შუა გადავიარეთ და ჯავახეთიდამ წალკას გადავიხედეთ.

*) იხ. „ივერია“ № 259.

ბათ,—ა. ა. ნოვიცკისას: „მუცლის სიმსივნის დემონსტრაცია“, ი. ი. მინკევიჩისას: „წინადაცვეთა ძველ კოლხიდელთა და სხვა ერთა შორის. შედარებითი გამოკვლევა“ და ს. ს. ლიუბიმოვისას: „რამდენიმე შემთხვევა ერთგვარ ფილტვების ანთებისა“.

*** დღეს, პარასკევს, 1 დეკემბერს, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების სადგომში ბ ნი რ. ი. დანილოვიჩი წაიკითხავს მოხსენებას: „საეკონომიო და სამეურნეო გამოკვლევა ერევნის გუბერნიისა“. კითხვა დაიწყება საღამოს რვა საათზე.

*** ქართველთა მომავალ საქალებო სკოლის სასარგებლოდ შეუწირავთ: კნეინა ნინო ზაალის ასულს ანდრონიკაშვილისას 150 მანეთი, თავ. ლევ. ილიას ძე აბხაზს 20 მ., მღვდელს დიმ. ჯანაშვილს 5 მან., ალექსი ნიკოლოზის ძე გველესიანს 5 მ., ბლაღოჩინს იროდიონ ოქროპირიძეს 5 მ., თომა პაპიაშვილს 1 მ., ნინო ოქროპირიძის ასულს 1 მ., თამარა გველესიანს 3 მ., ფილიმონ ჰეიშვილს 1 მ, №№ 1 მ., ნ. დ—ს 1 მ., ბრაუნს 1 მ., შავერდოვს 1 აბაზი, გელცს 2 აბაზი და ნიკ. კიკიშვილს 1 აბაზი.

ყველა ამათ კნეინა მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან-ორბელიანისა ულრმესს მადლობას უძღვნის.

*** მომავალ წლიდამ, როგორც ამას წინადაც ვაცნობეთ მკითხველთ, კავკასიის ექიმთა საზოგადოება აარსებს საექიმო, საჰიგიენო და საბეითლო გაზეთს რუსულსა, ქართულსა და სომხურს ენებზე. ჩვენ გავიგეთ, რომ ქართულ განყოფილების რედაქტორად მოწვეულია ექიმი ივ. ელიაშვილი.

*** 5 დეკემბერს მოხდება საზოგადო კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა, რომელზედაც, სხვათა შორის, განხილულ იქნება მომავალ 1896 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

*** ამ ბოლოს დროს ტფილისში მეტად გავრცელდა ინფლუენციის მსგავსი ავადმყოფობა და წითელი ქარი. ამ ავადმყოფობათ ჩვეულებისამებრ იმ სასწავლებლებშიაც იჩინეს თავი, რომლებსაც პანსიონები აქვთ.

*** წარსულ წყალდიდობისაგან ყველაზე მეტად გაფუჭებული იყო ლიანდაგი მოლითსა და ბელაგორს შუა. როგორც იტყობინებიან, მოლითსა და მარელისის შუა გზა სამ დეკემბრისათვის იქნება მზად, ხოლო ბელაგორამდე—10 დეკემბრისათვის.

*** სომხურს ენაზე დაიბეჭდა ისტორიული წიგნი „ზაქარია აქულისელის დღიური“. დამწერი 1640—1680 წლებში სცხოვრობდა და თავისს დღიურში საქართველოს შესახებ მრავალი ცნობები დაუტოვებია. ის ცნობები, რაც საქართველოს შეეხება, ითარგმნება ქართულად.

---

## სიტყვა,

თქმული გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლისაგან 19 ნოემბერს ამა წლისა ქ. ბათუმში ეკკლესიის საფუძვლის კურთხევის დროს.

ეკკლესია, ძმანო ჩემნო საყვარელნო, არს სახლი ღვთისა, სახლი შესაკრებელი ქრისტიანეთა, გვამი ქრისტესი, განწმედილი და პატიოსანითა სისხლითა მისითა პკურებული, სადაცა ვისმენთ ცხოველ-მყოფელსა სიტყვასა სახარებისასა და მსახურებასა ღვთისასა. თვით მაცხოვარმა დასდო საფუძველი ეკკლესიისა: „სადაცა იყვნენ ორნი გინა სამნი, შეკრებილნი სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“, ბრძანა მან. მოციქულთა მტკიცედ აღასრულეს ესე მცნება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, თვისის ღვთაებრივის მოძღვრისა; იგინი, დევნულნი ქრისტეს აღსარების მტერთაგან, იმალებოდნენ მტარვალთაგან და იდუმალად იკრიბებოდნენ ერთად მღვიმეთა ჯურღმულთა შინა სადიდებლად ღვთისა, შესასწავლად მაცხოვრის მოძღვრებისა; ღვრიდნენ მუნ ცრემლთა მათთა, სასოებით ადიდებდნენ შემოქმედსა და გამობრძმედებულნი ლოცვითა თავ-განწირულადავრცელებდნენ ქრისტეს მცნებასა და სარწმუნოებასა პირსა ყოვლისა ქვეყანისასა. მღვიმეთა და ჯურღმულთა შინა განამტკიცეს მოციქულთა სარწმუნოება ქრისტესი; სარწმუნოებამან ქრისტესმან სძლია სარწმუნოებასა წარმართთასა, ეკკლესიამან განარინა ბოროტნი, ჯვარმან ქრისტესმან დაამხო კერპნი ურწმუნოთა და შეიცვალნენ პირობანი პირველთა საუკუნეთა: დღეს ქრისტეს სარწმუნოება, მისი ღვთაებრივი სწავლა-მოძღვრება მოფენილაა მთელს ქვეყანაზე; ქრისტეს სარწმუნოების გავრცელებას და დამტკიცებას ერთა შორის უფრო ხელი მოუმართა ქრისტიანეთა ერთად თავ-მოყრამ, რომელსაც ჩვენ საყდარს, ანუ ეკკლესიას ვუწოდებთ. მე არ ვიცი ერი; ისტორიაც, ვგონებ, ვერ წარმოგვიდგენს იმისთანა ერსა, რომელსაც მთელის საუკუნოების განმავლობაში ეწამნოს, ეტანჯნოს, რომელსაც ეშენებინოს დიდებულნი ტაძარნი ღვთისანი, როგორიც არის ერი საქართველოისა. მან გაერთსულ-ხორცა ჯვარი და მამული: ერთს ხელში ხმლით, მეორეში ჯვრითა იცავდა იგი სჯულსა ქრისტესსა და მამულსაცა თვისსა; დაცვა მამულისა იყო მისთვის დაცვაცა სჯულისა და დაცვა სჯულისა იყო მისთვის დაცვა მამულისაცა. აი ეს ძალა აქვს ეკკლესიასა, ეს ძალა აქვს სარწმუნოებრივს კავშირსა, ეს ძალა აქვს ერთობასა ერისასა!!.

აღშენებასა ამა ეკკლესიისა, რომლის საფუძველი დღეს ჩაიდგა და იკურთხა, აქვს ამ მხარეში მოციქულებრივი მნიშვნელობა. ადგილი ესე, ძმანო ჩემნო, არის დედა-ქალაქი მთელის ამა საქართველოის ნაწილისა, რომელიცა ჟამთა ვითარებამ მოჰკვეთა საქართველოს ეკკლესიასა მისის წიაღიდგან და რომელიცა მეოხებითა ძლევა-მოსილისა მხედრობისა რუსეთის იმპერატორისა ისევ დაგვიბრუნდა ჩვენდა სამხიარულოდ. უბედურმა ჟამთა ვითარებამ იქნება გულიც აუცრუვინეს თვის მამულზედაც... ეს ნაწილი საქართველოსი, შვენება ჩვენის ქვეყნისა, რომელმაც მოგვცა დიდებულნი პირნი საეკკლესიო და სამწერლო ასპარეზზე, რომელმაც მოგვცა დიდებულნი სარდალნი და სახელმწიფო პირნი, რომელიცა იყო ზურგად მტრის წინააღმდეგ, ოდესმე ბრწყინავდა ქრისტეს ნათელითა, ოდესმე ჰყვაოდა, ოდესმე აქაც იღვრებოდა სისხლი ჯვარისა და მამულისათვის. მაგრამ ეს სამწუხაროდ არ უნდა მიგვაჩნდეს, რაკი ვნახეთ ჩვენნი ძველნი მოძმენი, რომელთა გული ანდამანტისა ვერა შეუცვლია ქარტეხილსა ისტორიისასა.

ძმანო ჩემნო, საქართველოს ეკკლესია მუდამ ჟამს პატივისცემით ეპყრობოდა სხვა სარწმუნოების აღმსარებელთა ერთა; ეკკლესიასა ივერიისასა არ ახსოვს სარწმუნოებრივი ამბოხება, არ ახსოვს დევნა, ტანჯვა და კოცონსაზედა შეუბრალებლად დაწვა სხვათა მესჯულეთა, დღესაც სიყვარულითა და ღმობიერის გულითა ეპყრობა იგი მაჰმადის აღმსარებელთა ქართველთა და ძმურად შეჰგვანს მათ; ვაცი ვერც-ვი შეატყობს, თუ ჩვენ და იგინი სხვა-და-სხვა სარწმუნოებისანი ვართ.

ყველა მართლ-მადიდებელთა საყდარსა, რომელიც-კი აღშენდება ამა ქვეყანაში, აქვს და ექნება ფრიად დიდი და თვალსაჩინო მნიშვნელობა, მაგრამ უმეტესა მნიშვნელობა ექნება აწ დაწყებულს სახლსა უფლისასა: ცხოველი სიტყვა სახარებისა იმ ღვიძლ ენაზე, რომელზედაც ასე საუცხოვოდ უხმობენ ჩვენნი მოძმენი ძველნი ქართველნი, მისწვდება იმათ გულამდე; საშობლო გალობა, საშობლო ენაზე ქადაგებანი, საღმრთო წიგნებთა კითხვის მოსმენა, რომელნიც არიან თარგმნილნი ამა ქვეყნისა შვილის გიორგი მთაწმინდელისაგან, გაუთბობენ ყველას გულსა, სასიამოვნოდ აუმღერენ და აუტოკებენ მას; შეგვაყვარებენ ურთიერთსა და ძმურად შეგვაკავშირებენ. აი სად არის დიდი მნიშვნელობა ამა ახალის საყდრისა!

საუკუნო დიდება დასდო რუსეთის მხედრობამ მართლ-მადიდებელს ეკკლესიასა ამა მხარის შემოერთებითა: აა ძველი თქვენი ქვეყანა, მოიმუშავეთ და დაუბრუნეთ მამა-პაპათა მათთა ეკკლესიასა არა მახვილითა, არა მოსყიდვითა, არამედ სიტყვითა მით ჭეშმარიტებისათა, გვეუბნება ჩვენ დრო და ჟამი...

როდესაც ყოვლის შემძლებელმა ღმერთმა შექმნა მთელი ქვეყანა, ხილული და უხილავი, გადმოჰხედა თვისსა ქმნილებასა და ბრძანა: ყოველივე ფრიად კარგად და კეთილად გამიჩენიაო; მაშასადამე ადამიანიც შექმნა კეთილად,

---

თავ-კვეთილას იმიტომ უძახიან, რომ თავი მთას მოკვეთილი აქვს. მოკვეთილზე ტბაც არის და უწინ ირმის ჯოგი მოდიოდა ხოლმე წყალის სასმელადაო. ახლაც თურმე ბოგინობს ამ მოტიტვლებულ მთებზე კლდეებში დათვი, მგელი, მელა, კვერნა, მაჩვი და იშვიათად თხაც ხვდებაო.

შავ-ნაბადა იმ ტომ ეძახიან მთას, რომ შორიდამ შავად გამოიყურება, გეგონება ნაბადი წამოუსხამსო.

მართლაც და შესაზარი სანახავნი არიან ეს მოტიტვლებული უზარ-მაზარი კლდიანი მთები. სწორე მოგახსენოთ, ვერაფერი სანახავი იქნებოდა ბუნება მაშინ, როდესაც ჯერ არც მცენარე იყო აღმოცენებული და არც ცხოველი გაჩენილი. აბა-კი საიდამ წარმოსდგა საქართველოში ამდენი მთები? ამ კითხვაზე მეცნიერება აი რა პასუხს გვაძლევს:

იყო დრო, როდესაც მთლად დედამიწის ზურგი წყალს ეჭირა. ამ გვარ უსამართლობას, რაღა თქმა უნდა, ბუნება ვერ მოითმენდა.

განრისხებულმა დედამიწის გულის ცეცხლმა, საშინელის ძალით, სარქველივით ასწია თხელი კანი დედამიწის ზურგისა და წარმოუდგენელის ძლიერებით ამოხეთქა დომხალივით არეული გამხვალი ქვა, მიწა და ათასნაირი ლითონები. წყალმა და ცეცხლმა რამდენიმე მილიონი წელიწადი იბრძოლეს (ეხლაც იბრძვიან)—რასაც ცეცხლი ააშენებდა, იმას წყალი არღვევდა, ჩაჰქონდა თავის უფსკრულში და იქ წყობისად ალაგებდა მომავალ ვაკე ადგილებისთვის.

მას მერე ბურთი და მოედანი წყალსა და ცეცხლს დარჩათ, და როგორც ნებავდათ, ისე სჭრიდნენ და ჰკერავდნენ—წყალი ზურგს უცივებდა დედამიწას და ცეცხლი კიდევ ხან იქ ამოხეთქავდა დედამიწის გულიდამ, ხან აქ. ცეცხლისაგან ამონახეთქმა მასალამ ბოლოს მაინც იმდენ ხანს განუწყვეტლად იდინა, ვიდრე უზარ-მაზარი მთები აშენდებოდა და ათი ათასგან კუნძულნი გამოჩნდებოდნენ.

ღვთის წყალობა გაქვთ, იკადრა წყალმა და დაგვითმო ხმელეთი, მაგრამ რა, განა ბევრი დაგვითმო? დღესაც სამი წილი დედამიწის ზურგისა წყალს უჭირავს და მხოლოდ მეოთხედი ნაწილი ხმელეთს შეადგენს.

დიდი ხანი არ არის მას აქედ, რაც ის ადგილი, სადაც დღეს დიდი ქალაქები გაშენებულან და კაცთა სიცოცხლე სდუღს, მაგალითად ბერლინი, ვენა, მიუნხენი, ციურიხი, ვარშავა და სრულიად რუსეთი მთლად ზღვა ოკეანეს ეჭირა.

მეცნიერთაგან დამტკიცებულია, რომ მთელი კავკასია და ჩვენი საქართველო სულ მთლად ხმელთა შუა ზღვას ეჭირა. მაგალითად ეხლანდელი ხმელთა შუა ზღვა, შავი ზღვა, კასპიის ზღვა და არალის ზღვა, მაშინ სულ ერთად შეერთებულ, ერთ უშველებელ ზღვას შეადგენდნენ.

მეცნიერთა აზრით ჩვენი კავკასია შედარებით სულ ახალი ხმელეთია. ათასი საუკუნე არც-კია მას აქედ, რაც დედამიწის გულის ცეცხლმა ასწია ამ ზღვის ძირი, ამოჰყო თავი ხმელეთმა, ამოხეთქა ვულკანებმა და აშენდნენ ეს აუარებელი მთები და ჩვენი უზარ მაზარი კავკასიონის ქედი, რომელთა შორის მეფობენ იალბუზი და მყინვარი.

—

ჩვენი არჩეული გზა ძლიერ მოკლედ სჭრის მანძილს, ჯავახეთიდამ წალკაზე გადასასვლელად.

მეფე ერეკლეს, ასპინძის გამარჯვებულ ომის შემდეგ, როდესაც გაეშურა ტფილისისკენ შინაურების დასამშვიდებლად, მაშინ აქედ, ამ გზით მოუჭრია მოკლედ.

ხიზაბავრაში დღესაც გაიგონებთ, რომ ირაკლი ხანი ომ გადახდილი, ასპინძიდამ მტკვრის ხევ-ხევ ხიზაბავრას ამოვიდა და იმ ღამეს აქ დარჩაო. თავით ფეხებამდე ზილხი (აბჯარი) ეცვა და მხოლოდ პირისახეზე და მაჯებს ქვევით არ ემოსაო. იმ ღამეს ზილხს რომ იხდიდა, დაიბერტყა და სამი ოყა (ცხრა გირვანქა) ტყვია დასცვივდაო:

„აი ბიჭებო, ამდენი ტყვია მომარტყეს იმ ურჯულო ლეკებმაო.“

ზილხი რომ გაიხადა, ქვეშ კიდევ ნაბდის პერანგი ეცვაო.

ხიზაბავრიდამ მეფე ერეკლე გაუთენებლივ გზას გასდგომია. გაუვლია გოკიაზე, ასულია ხუმრისს, გადაუვლია ამ მთების შუა (შავნაბადა და თავკვეთილა), გადასულა წალკას, გადუვლია მანგლისზე, კოჯორზე და ჩასულა ტფილისში ხალხისა და შინაურობის დასამშვიდებლად.

ამ მთებიდამ წალკის დაცემული ვაკე თვალ-წინ წარმოგვიდგა. მთების კალთებზე ძირს მოფენილი იყო ფარა-ფარად თეთრი ცხვრები, რომელნიც ამ ერთ-ფეროვან უტყეო არე-მარეს ასურათებდნენ, სულს უდგამდნენ.

აქ ჰნახავთ თუშებს, ქიზიყელებს, ტფილისის მაზრელებს, წალკის ბერძენთ და სხვა, რომელთაც სიცხისათვის მოურიდებიათ დიდ-ძალი ცხვარი. ერთმა „ზასტავის“ ჩინოვნიკმა მიამბო, რომ ყოველ წლივ ზაფხულობით, ამ თრიალეთის და ჯავახეთის მთებისკენ, საძოვრად ერთ მილიონზე მეტი ცხვარი აივლის და ჩამოივლის ხოლმეო.

როდის დაიმონავა კაცმა ეს მისთვის სასარგებლო ცხოველი—ცხვარი—არავინ იცის. ფრიად საინტერესოა ბრემის აზრი შინაურ ცხვარზე. ეს ცნობილი მეცნიერი საშინელის ზიზღით იხსენიებს შინაურ ცხვარს. შინაურ ცხოველთა შორის—ამბობს ბრემი—ყველაზე ძლიერ ცხვარია მონობისაგან დამახინჯებული და გადაგვარებული. ამ ცხოველზე ისე საშინლად უმოქმედნია დიდი ხნის მონობას, რომ აჩრდილი აღარც-კი დარჩომია თავის თავისუფალ მოძმე გარეულის ცხვრებისა. მაგრამ აბა უყურეთ თხას, ხომ ერთ ფარაში დადიან, ერთსა და იმავე გარემოებაში სცხოვრობენ, თხა იქამდე ყოჩაღია, რომ მონობაშიაც-კი არა ჰკარგავს თავის ბუნებრივ ზნე-ხასიათს და ჩვეულებას—საკვირველად იცავს თავის ვინაობას, ცხვარი-კი კაცის მფლობელობის ქვეშ სამარცხვინოდ დაჩაგრულა და სრულიად დაუკარგავს თავისი პიროვნება. რაც თავისუფალ გარეულ ცხვარს სიმპატიური ბუნებრივი თვისებანი სჭირს, ყოველივე დაუკარგავს შინაურ ცხვარს. სადღა აქვს ის სიმალხაზე-სიცქვიტე, მხიარული სიცელქე, სიმამაცე, გულადობა და ჭკუა-გონების გამოყენება განსაცდელის დროს!

შინაური ცხვარი მხოლოდ მის პატრონს თუ მოსწონს თავის სარგებლობისთვის, თორემ სხვაფრივ-კი ყოვლად საზიზღარი არსება არის. მისი უხასიათობა მთელ მის არსებაში იხატება. რაც უნდა ღონიერი ცხვარი იყოს, იქამდე მფრთხალი და ლაჩარია, რომ გოშია ძაღლსაც-კი გზას უთმობს—პატარა რამ ცხოველს შეუძლიან მთელ ცხვრის ფარას თავზარი დასცეს. დამფრთხალის ცხვრის ფარა ერთის მეთაურობით უგუნურის წინდაუხედავობით, მოუფიქრებლად, თუნდ აშკარადაც ჰხედავდეს განსაცდელს, მაინც თავხედად მირბის და თავს იჩეხავს კლდეში, ღრეში და იღუპება თუნდ ზღვის ზვირთებში, თუმცა-კი აშკარად ჰხედავს, რომ მისი ამხანაგები, ვინც ზღვაში გადავარდა, ყველა დაირჩო.

არ არის არც ერთი ცხოველი, რომელიც ასე უცილოდ ემორჩილებოდეს მონობის უღელს, როგორც შინაური ცხვარი. ამას უხარიან კიდეც, რომ თითონ თავს არ იწუხებს და სხვის ხელშია მისი ბედი და უბედობა—საკვირვლად, სამარცხვინოდ კმაყოფილია, რომ თავიდამ აშორებული აქვს თავის თავზე ზრუნვა.

დასაბამი ყველა ამ სამარცხვინო თვისებისა, რასაკვირველია, ცხვრის უხასიათობა და უტვინობაა და სწორედ მოგახსენოთ არაფერი მოსაწონი ეპიტეტია, როცა ვისმეს აქებენ: „კრავივით წყნარიაო“.

ილ. ალხაზიშვილი.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თილის საქმნელად; მაშასადამე, ყოველი ჩვენთაგანი მოვალეა იმოქმედოს დანიშნულებისამებრ ყოვლად შემძლებელის შემოქმედისა. მაგრამ დრო-ჟამსა ისეთი გავლენა უქონიებია ადამიანზე, რომ შეურყევია იგი და ბოროტისაკენ მიუდრეკია მისი ბუნება. მაცხოვარმან ჩვენმან იესო ქრისტემან, იცოდა-რა ესრეთი ბუნება კაცისა, აღუთქვა მას კეთილისათვის სასუფეველი ცათა. ძმანნო ჩემნო, უფალი ღმერთი იესო ქრისტე, ღვაწლსაცა თქვენსა, თქვენსა კეთილ მოქმედებასა, თქვენსა სიყვარულსა სახლის ღვთისა აღშენებისათვის, თქვენსა მტკიცეს სარწმუნოებასა არ დაივიწყებს; შთამომავლობაცა თქვენი სიყვარულითა და პატივისცემით მოიგონებს ამა თქვენს ღვაწლსა, თქვენს მოციქულებრივ შრომას და მაგალითსა დანერგვისათვის ამა საყდრისა მორის თქვენთა მოძმეთა. ჭეშმარიტად თქვენთა მზგავსზე ბრძანა მაცხოვარმა: „არცა აღანთიან სანთელი და დასდგმიან ქვეშე ხვიმირსა, არამედ სასანთლესა ზედა და მნათობნ იგი ყოველთა, და ესრედ ბრწყინევდინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენნი თქვენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცათასა.

იყავნ კურთხევა უფლისა თქვენზედა აწ და მარადის. ამინ.

## კორესპონდენცია.

**ბათუმი**, 20 ნოემბერი. უნდა გამოვტყდეთ და ვსთქვათ, რომ ბათუმელი ქართველები სრულიად არ გვანან სხვა ქართველებს, ე. ი. იმ ქართველებს, რომლებიც ცხოვრობენ შიდა საქართველოში, მაგალითად ქუთაისში, ტფილისში და სხვა წვრილ ქალაქებში. იქ ორს ინტელიგენტს ვერ იპოვნი, რომ ერთმანეთის შურსა და იძულებაში არ აძლოსდიოდეს სული; აქ, ბათუმში-კი, რადაცა ძალის გაუსულ-ერთხორცება საქართველოს სხვა-და სხვა კუთხეებიდამ თავ-მოყრილი ქართველობა: ქართლ-კახელი ტეტია, ზრდილი იმერი, მკვირცხლი გურული და მეგრელი, გამჭმადიახეიული ქართველი, — ყველა ესენი მტკიცედ შეკავშირებულან, ძმურად გადუჭდიათ ყელი ყელსა, ხელი ხელსა და შესდგომიან წარმატების გზასა. აი ამ ძმურისა და გაერთიანებულის ძალით ააგეს ბათუმელმა ქართველებმა ტაძარი სწავლა-მეცნიერებისა, აი ამ ძალითვე შეუდგნენ ღვთის ტაძრის აშენებასაც დიდი ხნის ნატვრა მათი შესრულდა და კურთხევა ქართული სასწავლებლისა და კურთხევა ეკკლესიის საძირკვლისა მოხდა ერთსა და იმავე დღესა, ცხრამეტს ამა ნოემბრისასა, მაგრამ წინ წორბენას, სჯობს რიგზედ დავიწყოთ.

ბათუმელმა ქართველებმა ერთი თვისი ძოთაკეთაგანი ბ-ნი სოლომონ საბაშვილი გაგზავნეს ფოთში ყოვლად-სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს გრიგოლთან მოსალაპარაკებლად, თუ როდის შეიძლებდა მიბრძანდეს ბათუმელების დიდი ხნის წადილის შესასრულებლად. დანიშნეს 19 ნოემბერი, რომელიც ოქროს ასოებით დაებეჭდება გულზე ბათუმელ ქართველებს და ყველა ჩვენთაგანისათვისაც დაუვიწყარი შეიქნება.

როგორც სკოლის აშენებისათვის, აგრეთვე ეკკლესიისათვის შემდგარი იყო კომიტეტები; წევრნი ამა კომიტეტებისა: ვოლსკი, ბერძენიშვილი ექვ., ს. საბაშვილი და სხვანიცა ერთგულად და თავგანწირულად შრომობდნენ და კიდევაც შრომობენ. 19 ნოემბრისათვის როგორც ეკკლესიის საფუძვლის, ისე სკოლის კურთხევაზე საკუთარის ბარათებით მიიწვია კომიტეტმა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე თ. ბარიათინსკი, წარმომადგენელნი სამხედრო უწყებათა და ყველა ქართველნი. წირვა გადახდილ იქმნა ბათუმის საკრებულო ტაძარში; დილით წვიმდა და ეშინოდათ, რომ წვიმა დაუშლის დიდებულს საეროდ დღესასწაულსაო, მაგრამ გათავდა წირვა, ყოვლად-სამღვდელო მთელის სამღვდელოებით გამობძანდა ჯვრით და წავიდნენ დანიშნულს ალაგას. თითქო ცამაც იგრძნო სიხარული, გადიყარა ღრუბელი და მზემ უცებ მოჰფინა ქვეყანას ცხოველს-მყოფელნი შუქნი თვისნი. ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

ადგილი, სადაც შენდება ახალი ეკკლესია სახსოვრად ხელმწიფე იმპერატორის და მისის უავგუსტოესის სახლობის გადარჩენისა 17 ოქტომბერს 1888 წ. წმიდა გიორგის სახელზე, მდებარეობს ბათუმის იმ ნაწილში, რომელსაც „ნურიას“ უწოდებენ; ორი-ათას ოთხ-კუთხ საჟენამდის შეადგენს ზომა ამ ადგილისა, ოთხივ მხრივ ქუჩები აქვს; ეს ადგილი გამოსთხოვეს ქალაქს ეკკლესიის ასაგებად; რადგანაც აქ მარხიან მართლ-მადიდებელის სარწმუნოების მხედარნი, რომელთაც დასთხიეს სისხლი უკანასკნელს ომში, ქალაქმა უფრო ამიტომ გამოიმეტა ეს მშვენიერი ადგილი საეკკლესიოდ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეზოში გაკეთდეს სკვერი ბაშვებისათვის. მისცეს ვადით, თუ ამ ვადაზე არ გაკეთდებოდა ეკკლესია, ქალაქს უნდა დაჰბრუნებიყო ისევ თავისი მამული. ბოლოს ქალაქმა დაიწყო ცდა, რომ როგორმე დაებრუნებინა უკანვე ეს მამული და სამაგიეროდ სხვა მიეცა, მაგრამ ველარ მოხერხდა და ლელო კომიტეტმა გაიტანა.

დიდ-ძალი ხალხი გაჰყვა ჯვარს, ქუჩებში ტევა არ იყო. საფუძვლის ადგილი შუაზედ აარჩიეს; აქ იყვნენ მაჰმადიანი ქართველებიც; კურთხევის შემდეგ ყოვლად-სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელსაც ცალკე გიგზავნით დასაბეჭდად; ეკკლესიის ადგილიდამ ისევ ჯვრით და შესამოსლით გაემგზავრნენ ქართულს წერა-კითხვის საზოგადოების ახლად აგებულს სკოლაში მის საკურთხეველად; თან მიჰყვა მიწვეული საზოგადოებაც; აქაც კურთხევის შემდეგ ყოვლად-სამღვდელომ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა სკოლის მნიშვნელობაზე. შემდეგ ასხურა აიაზმის წყლით სკოლის ოთახები; დამსწრე საზოგადოება კომიტეტმა მიიწვია საუზმეზე, რომელიც იყო გამრთული სკოლის დარბაზში. ტოლუმბაშმა ბ. ქალაქის მოურავმა ლ. ნ. ასათიანმა დროების შესაფერი სადღეგრძელოები წარმოსთქვა; ამას ზედ მისდევდა მწყობრი გალობა ამ დღისათვის საგანგებოდ შემდგარის მგალობელთა გუნდისა, რომელსაც შეადგენდნენ სხვა-და-სხვა უწყების ქართველნი ოხელენი. მშვენიერად აღასრულეს „დღეს მერცხალი შემოფრინდა“, „ჩუხჩუხით“, „დელია“, „აღსდეგ გმირთ გმირო“ და სხვა საგალობელნი; საზოგადოება აღტაცებაში იყო ამ დღესასწაულით. საუზმის შემდეგ ოთხ საათზე იყო იქვე სადილი, რომელმაც ღამის ცხრა საათამდის გასტანა.

საუცხოვო სახლი აუშენებიათ სკოლისათვის და მასწავლებლებისათვის ცალკ-ცალკე. წინა დღით ყოვლადუსამღვდელოესმა დაათვალიერა ახლად აღსაშენებელის საყდრის ადგილი, ქართული სკოლა და აგრეთვე სამრევლო სკოლები. ქართულ სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მუსულმან ქართველებს (მოსწავლეებს). ამ სკოლაში საუცხოვოდ არის დაყენებული სწავლის საქმე; როგორც რუსულს, ისე ქართულს ბაშვები საგანგებოდ კითხულობენ და სწერენ. გული აუდუღდებოდა კაცსა, თვალში ცრემლები მოეგუბებოდა იმათ ლექსების კითხვაზე; უფროსს განყოფილებაში წაიკითხეს: „სამშობლო ხევსურისა“, „დედის დარიგება“, „ქართველი დედა“; საუცხოვოდ წაიკითხა ერთმა რუსულად „Мартышка и Очки“, კრილოვისა. უმცროსს განყოფილებაში განსაკუთრებითი ყურადღება მიიქცია ყველასი პატარა მუსულმანმა ქართველმა ჰყონიამ თავისის მკვირცხლობით და შეგნებულის კითხვით ქართულ-რუსულ ენაზე. სკოლაში ოცზე მეტია მუსულმანი ქართველი მოსწავლე. მასწავლებლებსაც დაუფასებიათ ბათუმელ ქართველთა შრომა, გაუთვალისწინებიათ თავიანთი მძიმე მოვალეობა და თავგანწირულად შრომობენ, რათა პირნათლად გამოვიდნენ ყველასთან.

თავმჯდომარე ეკკლესიის აღშენების კომიტეტისა ბ-ნი ნ. ბეს. ლოლობერიძე მოვალეა, რომ ეკკლესიის საქმეც ისე მალე დაბოლოვდეს და ისე კარგად, როგორც სკოლისა. კომიტეტში ისეთი გულ-მოდგინე, საქმის მუყაითი და მოყვარულნი პირნი არიან, როგორც მაგალითად საბაშვილი, ექვ. ბერძენიშვილი, გრ. ვოლსკი და სხვანიცა, რომელნიც ღონეს არ დაჰზოგვენ, არც ჯიბეს, ოღონდ-კი ბ-ნმა ლოლობერიძემ მაგრა მოჰკიდოს საქმეს ხელი, რაზედაც სრული იმედი გვაქვს.

ს. გუნცაძე.

ქ. ბათუმი, 20 ნოემბერი.

## მცირე პასუხი ბ-ნ ხუსკივაძეს

უტყუარი საბუთი ადამიანის ზნეობრივი აღზრდისა და მისი დამასურათებელი მისივე ლმობიერი, თავაზიანი საქციელი და ზრდილობაა; თუ ამაებით იგი შემკობილია, მაშინ დარწმუნდები, რა ოჯახის შვილია, რა წრეში გაზრდილა და როგორ უცხოვრია; იმისი ენა და კალამი, რა რიგადაც არ უნდა კვეთდეს გასაკვეთს, იმავე დროს მალამოსავით ეცხება და ასალბუნებს; იმისი განხილვა, აწონდაწონა და გარჩევა საგნისა, ანუ ცხოვრებისა, ისეთ რიგად მიგიზიდავს და დაგიმორჩილებს მაშინაც-კი, როცა შენის ბუნების თვისების წინააღმდეგიც იყოს, და ტაშს დაგაკვრევინებს!!.. საუბედუროდ ამგვარს ვერასა ვხედავთ უფალი ხუსკივაძის ამბავში, რომელიც გადმობეჭდილია „კვალის“ 31 №-ში შესახებ ექიმის ჯინორიძის ლეჩხუმში გადაყვანისა.

სანამდის სხვაზე რამეს ვიტყოდეთ, ეს უნდა მოვახსენო მკითხველს: საც გაზრდილა ბ-ნი ხუსკივაძე, ეს მოღვაწე მამულის-შვილი, რომ ერთხელ ლეჩხუმში, რომელიც ქუთაისიდამ ორმოცი ვერსის მანძილზეა, მშვენიერს გზა-ტკეცილზე, არ შებრძანებულა და მისი მოწყალე თვალი არ გადაუვლია.

მეორეც: როგორ მოხდა, რომ ლეჩხუმელთაგანი ერთი მაინც არ გამხდარა ღირსი მისის ცნობისა, რაზედაც შეეძლო დაშენება საფუძვლისა თუ რაოდენ სათქმელი იყო:

„სინათლე უნდა იქ, სადაც-კი უფრო ბნელია.“

მისი სურვილი იყო ექიმი ჯინორიძე ექო, ვინ ჰყავდა ამის წინააღმდეგი?! ბ. ჯინორიძე ხუსკივაძის ქვისლი და მოყვარეა, მოყვარეზე-კი არა-პატიოსანი კაცი შეუფერებლად მტერზედაც არ იკადებს ცუდის თქმას! ნუ-თუ ამისი ასრულება, რაზედაც მეც სიამოვნებით დავეთანხმებოდი, ისე არ მოხერხდებოდა, რომ მთელის ქვეყნისთვის არ გაეკრა კბილი“. მაგრამ... ეს რაღაც წკიპზე შემდგარ დიაკვნისაგან მეტიჩრულად გამოთქმულ დაცინვას წააგავს. აქ მაგონდება გოგოლის გოროდნიჩის სიტყვები: «მართალია ალექსანდრე მაკედონელი დიდი გმირი იყო, მაგრამ სკამების მტვრევა რა შუაშიაო».

ყოველივეს რომ თავი დავანებოთ, თვით ბ. ჯინორიძეს რა მდგომარეობაში აყენებთ?! იმას რამდენიმე ლეჩხუმელთაგანი იქაც იცნობდა, სწამდა მისი კარგი აზრი, ზნე და ხასიათი და საამოდაც ჩასთვალეს მისი გადმოყვანა, მაგრამ... რაც შეეხება „ლეჩხუმისათვის ფას-დაუდებელიაო“, ეს სულ სხვა არის და ისეთი სხვა არის, რომლის მსგავსი არა თუ მოყვრობა და ძმობა, მტრობა და გმობაც არ მინახავს. ამგვარ მოყვარეთა შესახებ ჩინებულად ამბობს ჩვენი უკვდავი რუსთველი:

„ესე ამბავი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია,
მოყვარე, მტერი მოყვრისა, მტრისაგან უფრო მტერია“.

თავადი იასონ გელოვანი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

გაზ. „მეურნე“-ს 26 №-ში ბ-ნი გრ. გველესიანი წერილით: „ჩვენი საერთო მოვალეობა“ აგვიწერს რა აურიცხველს ზარალს, რომელიც წყალ-დიდობამ მოუტანა იმერეთს, ამბობს, — მართალია საზოგადოება დიდის თანაგრძნობით ეკიდება დაზარალებულ მოძმეთა გაჭირვებულს მდგომარეობას და სცდილობს შეძლებისა დაგვარად დახმარება აღმოუჩინოს; მაგრამ რას იზამს საზოგადოების დახმარება, როდესაც ზარალი ასი-ათას მანეთობით ითვლებაო. ამიტომ ავტორის სიტყვით, აუცილებლად საჭიროა დაზარალებულთ თვით მთავრობამ აღმოუჩინოს რაიმე საშუალება; იგი ამბობს:

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენის საზოგადოებისათვის სრულიად მეტია სიტყვები, მის გრძნობებზე მომქმედნი, მასში შებრალების გამომწვევნი, ნათქვამიც საკმარისია, რომ მან თავი გამოიდოს. ამ უკანასკნელ დროს მას არა ერთხელ დაუმტკიცებია თავისს გულ-მხურვალე მონაწილეობა საზოგადო საქმეში მით, რომ თავისი წვლილი გამოუღია მის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაშიც, სრული იმედი გვაქვს, იგი არ უმტყუნებს თავისს მიდრეკილებას და ეხლავე შემწეობის ხელს გაუწვდის დღეს გაჭირვებულ და დაზარალებულ მოძმეებს, ჩვენ ჩვენის მხრითაც ვეცადოთ, თორემ მარტო გარეშე დახმარება ჩვენს ჭრილობას ვერ გაჰკურნავს. მხოლოდ ერთი რამ კიდევ უნდა შევნიშნოთ დასასრულ.

რათა შემწეობამ თავისი დანიშნულება აასრულოს, თავისს მიზანს არ ასცილდეს, ამისათვის საჭიროა, რომ შემწეობის საქმეს რაიმე ორგანიზაცია მიეცეს, რადგან ამ პირობაში ჯერ ერთი, რომ შემომწირველთ ელოდინებათ ვის მიჰმართონ თავიანთი შემოწირულებანით, მეორე ის, რომ შემოწირულებანი ისე დანაწილდება, როგორც რიგია და მესამე ის, რომ გარდა ნებაყოფლობით შემოწირულებათა შესაძლებელი იქნება სხვა ზომების მიღებაც იმავე მიზნით. ამ საჭიროებას დავაკმაყოფილებთ, თუ დავაარსებთ ტფილისში უმთავრეს დროებით კომიტეტს, რომელიც წარუძღვება ამ საქმეს. თუ საჭირო იქნება, მას უნდა ჰქონდეს განყოფილებანი სხვა ქალაქებშიც. ეს კომიტეტი ძლიერ შეუწყობს ხელს საქმის წარმატებას, მიიღებს შემოწირულებას და თავისს მხრითაც მიჰმართავს სხვა-და-სხვა ზომებს შესაწევარის რაოდენობის გასამრავლებლად. რა თქმა უნდა, როდესაც ზარალი მილიონობით ირიცხება, ჩვენს დახმარებას რაც უნდა ვეცადოთ, ნაზარალევის აღდგენა ნახევრადაც არ შეუძლია. ჩვენს შემწეობას ამ შემთხვევაში მხოლოდ ის დანიშნულება ექნება, რომ ერთიანად დალუპულთ, სრულიად არავითარ სახსრის მქონეთ, იმდენად მაინც გავუმართოთ ხელი, რომ განსაცდელს, ხიფათს ავაცდინოთ. თუ ყველას ვერ გავუწვდებით, მცირედ ნაწილს მაინც ხომ მივეშველებით. მაშ, აბა წავიმძღვაროთ წინ ქრისტეს მოძღვრება—სიყვარული მოყვასისადმი და ეხლავე შევუდგეთ ამ საქმეს! ვიმეორებ, ეს ჩვენი საერთო მოვალეობაა, რომლის აუსრულებლობა დიდი დანაშაულია.

## თეატრის მატიანე.

ახალი პიესა „მადამ სან-ჟენ“, ბენეფისი ბ. კ. მესხისა, გასტროლი ბ ნ ეფ. მესხის ასულისა, — ეს სამი გარემოება თავდებად უნდა ყოფილიყო, რომ ოთხშაბათს, 29 ნოემბერს, ქართული თეატრის დარბაზი მთლად გაივსებოდა, მაგრამ ქართველი საზოგადოების გულ-გრილობამ ეს თავდებობა გაამტყუნა, — თეატრის დარბაზი ვერ გაივსო. სწორედ რომ საკვირველია ჩვენი საქმე. არაფერი გვაკმაყოფილებს, ყველას ვემდურით, ყველაფერში წუნსა ვსდებთ, ხოლო თუ საგულისხმიერო რამ მოხდა, თანაგრძნობის გამოცხადება ძალიან გაგვიჭირდება ხოლმე. ქართული თეატრის და მისი ადმინისტრაციის შესახებ ჩვენს საზოგადოებაში მუდამ საყვედური გვესმოდა: რეპერტუარი დაძველდა და მოგვწყინდა, ერთმა და იგივე არტისტებმა თავი მოგვაბეზრესო, — და ეს მოჰყავდათ მიზეზად, რომ საზოგადოება ქართულ თეატრში ნაკლებად დაიარებოდა. თუ აქამდის საზოგადოებას ცოტა მაინც შეეძლო ამით თავის გამართლება, წელს ამას ველარ მოახერხებს, რადგან ახალმა ადმინისტრაციამ საზოგადოებას ხელიდამ გამოაცალა ეს მცირედი თავის გასამართლებელი საბუთი: ეს მეოთხე თუ მეხუთე ახალი პიესა დაიდგა წელს პირველად ქართულ სცენაზე; ეხლანდელს დასში ადმინისტრაციამ თავი მოუყარა ყველა ნიჭიერს არტისტს, — ყველას, ვისაც-კი გამოცდილის და ნიჭიერის სახელი აქვს, ამათში ბ. კ. მესხს დიდი ხანია ტფილისის დასში მუდმივი მონაწილეობა არ მიუღია, ბ-ნ მესხის ასული სულ მეორედ ჩამოდის ქალაქში და თითო ჩამოსვლაზე სულ 3—4 როლს თამაშობს, ბ-ნი ჩხეიძის ასული პირველად

არის მოწვეული ჩვენს დასში და სხ., მაგრამ მაინც არ იქნა, საზოგადოება ვერ დაიძრა, ვერ დასტოვა მუდმივი ჭორიკანაობა, ტყუილი მითქმა-მოთქმა და უსაქმობა და თეატრისაკენ ვერ წამოვიდა, არ მოისურვა კვირაში ერთი საღამო მაინც გაატაროს გონივრულად, ესტეტიკურის გრძნობით დასტკბეს. თვით თეატრიც რომ არ მივიღოთ მხედველობაში და მისი მნიშვნელობა, ჩემის აზრით, ისიც-კი საკმარისია, რომ თეატრში წასვლა ვალად მიგვაჩნდეს, რომ ჩვენი თეატრი ერთად-ერთი ადგილია, სადაც ქართველი საზოგადოება თავს მოიყრის ხოლმე და სადაც ქართული ენა გვესმის.

ჩვენ ვერ წარმოვიდგენდით, რომ გუშინდელს წარმოდგენაზე თეატრის დარბაზი არ გაივსებოდა. „მადამ სან-ჟენ“ ახალი პიესაა და ადამიანის ყურადღებას მიიმხრობს როგორც იმით, რომ იგი მშვენიერად არის დაწერილი, აგრეთვე იმითიც, რომ პიესაში გამოყვანილია იმისთანა გამოჩენილი ისტორიული პირი, როგორიც არის ნაპოლეონი. თითქმის ყველგან, საზღვარ გარედ თუ რუსეთში, თითქმის ყოველ თეატრში, მრავალჯერ წარმოადგინეს ეს პიესა და ყველგან დიდის წარმატებითაც.

„მადამ სან-ჟენ“ დაბეჭდილი იყო „ივერიის“ ზაფხულის ნომრებში და ამიტომ მისი შინაარსის გადმოცემა საჭირო არ არის.

პიესა ჩვენმა დასმა მშვენიერად წარმოადგინა და სცენაც შედარებით კარგად იყო მოწყობილი.

ნაპოლეონის როლს ასრულებდა თვით მობენეფისე ბ. კ. მესხი. ბ-ნს მესხს ნაპოლეონის ხასიათი და ჩვეულებანი გულმოდგინედ შეუსწავლია და საუცხოოდ დაგვიხატა ამ გამოჩენილი პირის სურათი, ისე, როგორადაც არის ნაპოლეონი ლიტერატურაში აღწერილი. მხოლოდ მესამე მოქმედებაში, როდესაც კატრინ მოაგონებს ნაპოლეონს ძველს ვალს და შემდეგ სცენაში, არტისტს მეტი სიცოცხლე უნდა გამოეჩინა და თითქმის ისევე დაღვრემილი არ დარჩენილიყო, როგორც ამ სცენამდე იყო.

მოურიდებელის და ამასთან სიმპატიით სავსე კატრინ იუბშეს როლს თამაშობდა ქ-ნი ეფ. მესხის ასული. ბ-ნმა მესხისამ აასრულა როლი ძალიან გონივრულად და თავიდამ ბოლომდე კარგად გაატარა, ხოლო, სამწუხაროდ, ბ-ნ მესხისამ ვერ აიცილა თავიდამ ის ნაკლი, რომელიც თითქმის ყოველ არა ფრანსელ არტისტ-ქალსა აქვს ამ როლში. ეს ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ არა ფრანსელებს იშვიათად აქვთ ის ბუნებრივი კეკლუცობა, ის განსაკუთრებული გრაცია, რომლითაც სავსეა თითქმის ყოველი ფრანსელი დედაკაცი, მრეცხველია იგი, თუ ნახშირის გამყიდველი, ან მარკიზა და „მადამ სან-ჟენის“ როლი უეჭველად თხოულობს აღმსრულებელისაგან ამ განსაკუთრებულს, ფრანგულს კეკლუცობას. დანარჩენ როლების აღმსრულებელთ შორის უნდა აღვნიშნოთ ბ-ბ. გუნია (ლეფევრი) და გედევანოვი (ფუშე), რომლებიც ძალიან კარგები იყვნენ თავიანთ როლებში.

რეჟისორის ყურადღებას მივაქცევთ მეორე ხარისხოვან არტისტებზე, რომელთაც ბევრჯერ რიგიანად არ იციან თავიანთი პატარა როლების სიტყვები და ამას გარდა სცენაზე თავი რიგიანად არ უჭირავთ ხოლმე, ხან ტყუილ-უბრალოდ იცინიან და ხან რას სჩადიან.

ამ საღამოს ფრიად სასიამოვნო იყო ის გარემოება, რომ მთელი პიესა წარმოდგენილი იყო დრამატიულ საზოგადოების საკუთარს კოსტუმებში და ზოგი მათგანი საუცხოოც იყო, მაგ. ნაპოლეონისა, ლეფევრისა, სან-ჟენისა მეოთხე მოქმედებაში და სხ. პიესა და მისი წარმოდგენა საზოგადოებას ძალიან მოეწონა და არტისტები მრავალჯერ იყვნენ გამოწვეულნი და ტაშის ცემით დაჯილდოებულნი. მობენეფისეს საჩუქრად რამდენიმე ნივთი მიართვეს.

ს—ი.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— დიუმა-შვილი, სახელგანთქმული დრამატურგი საფრანგეთისა, ახლახან გარდაიცვალა, როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენება. საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთები ის დღეა და ეს დღე ერთი ერთმანეთს ეჯიბრებიან, აბა ვინ უფრო ბევრს ამბავს აუწყებს ქვეყანასა დიუმა-შვილისასაო. აი ერთი ამ ამბავთაგანი: 1848 წლიდამ დიუმა სცხოვრებდა თავისს მამულში მარლში და ეხლახან იქავ გადაიცვალა. იგი სცხოვრებდა ძალიან სადად და ერთისა და იმავე წესითა. ხუთს საათზე დილით ადგებოდა და წავიდოდა სასეირნოდ, დაბრუნდებოდა და წერილებს სწერდა და ჰგზავნიდა. არც სიცივეს, არც რამ ცუდს ამინდს იგი არ ერიდებოდა. მთელი წელიწადი ზამთარ-ზაფხულ კარი და ფანჯარა ღია ჰქონდა საწოლის გვერდით ოთახისა და ისე იძინებდა. ძალიან თავ-დაჭერილი იყო სმა-ჭამაში, ასე რომ ყველას უკვირდა მით უფრო, რომ ძალიან მუშაობდა და ბევრსა სწერდა. თავისს დღეში არაყი და ამის მზგავსი მწარე, თუ ტკბილი სასმელი არ დაულევია, არა ღვინოს არა სვამდა, არა სწევდა. ღამის ათს საათზე უსათუოდ დაწვებოდა დასაძინებლად. დიუმამ ერთს თავისს თხზულებას ჩაურთო დარიგება,—როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა. ეს დარიგება ნიშნობლივ გვიხატავს თვით დიუმას ხასიათს და ჩვეულებას. აი იგი დარიგება:

„ყოველ ცის ამარა დღეს ისეირნე ორი საათი; ყოველ ღამეს შვიდი საათი იძინე; რა წამსაც ძილი მოგერევა, მარტო დაწექ ქვეშაგებში; ადეგ ხოლმე, როცა-კი გამოგეღვიძება მაშინვე. ადგები თუ არა, მაშინვე შენს საქმეს დაადეგ; სჭამე იმოდენა, რომ მარტო შიმშილი მოიკლა, ჰსვი იმოდენა, რომ წყურვილი მოისპო და ამასთან ნუ ასჩქარდები. ილაპარაკე მხოლოდ მაშინ, როცა საჭიროა და გამოამჟღავნე მარტო ნახევარი იმისი, რასაც ჰფიქრობ; იმისთანა არა დასწერო რა, რომ ხელის მოწერა გრცხვენოდეს, იგი საქმე აკეთე მხოლოდ, რომ თქმაც შეგეძლოს. თავის დღეში ნუ დაივიწყებ, რომ სხვას შენი იმედი რამ ექნება, შენ-კი არ უნდა სხვის იმედი იქონიო. ფული იმოდენად დააფასე, რამოდენადაც ჰღირს: ფული კარგი მსახურია და ძალიან ცუდი ბატონი. ქალებს უფრთხილდი ოცს წლამდე და შორს გაექეც, როცა ორმოცისა შეიქნები. ნურას ააგებ, თუ ნათლად არ იცი, რა გავალებს აგებასა და რაც შეიძლება ცოტა ანგრიე. წინადვე შეუნდე მთელს ქვეყნიერებას; ნუ აითვალწუნებ ადამიანს და, უფრო, ნუ შეიძულებ, ნუ დასცინებ მეტის-მეტად, გებრალებოდეს იგი. ყოველ დილას გაიხსენე სიკვდილი, როცა სინათლეა, და ყოველს საღამოს, როცა მწუხრია. თუ დიდი რამ მწუხარება გეწვია, ნუ შეუშინდები, თვალი-თვალში გაუყარე: მწუხარება თვითონვე ნუგეშს მოგცემს და ცოტაოდენსაც რასმე გასწავლის. ეცადე, სადა-კაცობას, ეცადე სასარგებლო კაცი გახდე, თავისუფალი და ნუ ისწრაფი ღმერთის უარ-ყოფას, ვიდრე ცხადად არ დაგიმტკიცებენ, რომ იგი არ არსებობს“, (ნ. ვ.)

— მავნებელია თუ არა თამბაქოს წევა? ამაზე ბევრს მეცნიერს ჰო უთქვამს და ბევრსაც—არა. ეს ერთი იმისთანა საგანია, რომელსაც თავზე გადამტვრევია ბევრი ბასრი ხმალი ჰო და არასი სხვა-და-სხვა მეცნიერთაგან, ასე რომ არც-კი იცის კაცმა, რომელი ერთი დაიჯეროს, რომელი ერთი ირწმუნოს. ეს კიდევ არაფერი, რომ დღეს აქამომდე გადაწყვეტილად არ ვიცით მავნებელია თუ არა. საკვირველი ის არის, რომ დღეს ამერიკელი მკურნალი მონტგომერი ამტკიცებს, რომ თამბაქოს წევა მარგებელია გულით სნეულთათვისაო. იგი იმოწმება, რომ ფილტვის სნეულებისათვის ძალიან კარგი წამალიაო. იმისის აზრით, თამბაქოს ბოლი ფილტვის ლპობას ძალიან თურმე აბრკოლებს, სნეულების თესლსა ჰკლავს და ძალიანაც ამაგრებს იმისთანა აგებულების პატრონს, რომელიც ფილტვით დასნეულებისათვის ადვილად მისაწვდენია.

ამის დასასაბუთებლად ხსენებულს მკურნალს ის მოჰყავს, რომ თამბაქოს ფაბრიკებში ძალიან იშვიათია ჭლექით სნეული ვინმე შეგვხვდეთო. გარდა ამისაო, ამბობს მონტგომერი, ჩემ გარდა სხვასაც გამოუძიებია ეს საქმე. მაგალითად გვიჩვენებს მკურნალის ტასინარის გამონაკვლევს. ამ ბ-ნ ტასინარს ბევრ შემთხვევაში უცდია თამბაქოს ბოლის ზედმოქმედება ადამიანზედ და გული დაუჯერებია, რომ თამბაქოს მწეველს თვითონ ხოლერაც-კი და სხვა გადამდები სენი იგრე ადვილად არ ეკარებაო. ადამიანის პირს ხომ ყოველ მიაზმისაგან ანთავისუფლებსო. უფრო ღირს შესანიშნავია მკურნალის ვიზალისის გამონარკვევიო. ვიზალისი გაუკვირვებია იმ ამბავს, რომ როცა 1889 წ. ინფლუენცამ ასეთი ყოფა დააწია მთელს ევროპას, თამბაქოს ფაბრიკებში მუშანი გადაურჩნენო და, ორიოდ მაგალითის გარდა, არც ერთი სხვა ავად არ გამხდარა ამ სენითაო. მაგალითებრ ჰენუაში 1200 მუშა კაცი ითვლებოდა და არც ერთი ავად არ გამხდარა, ხოლო რომში ისე ცოტანი გახდნენ, რომ ფაბრიკაში მუშაობა არ შეწყვეტილა, მაშინ როდსაც სხვა ფაბრიკებში იმდენი მუშა კაცი შეიწირა ამ ინფლუენცამ, რომ იძულებულ იყვნენ მუშაობა შეეყენებინათო. (ნ. ვ.)

## უცხოეთი

—

**ოსმალეთი.** სომეხთა პატრიარქს აზარიანს მოსვლია რომის პაპისაგან 50 ათასი ლირი ანატოლიაში დამშეულ და შევიწროებულ სომეხთა სასარგებლოდ.

—

**ავსტრ.-უნგრეთი.** ვენიდამ სწერენ საფრანგეთის გაზეთებს, რომ ავსტრ-უნგრეთის მთავრობამ დიდ-ძალი ჯარი გაგზავნა ამ დღეებშიო ოსმალეთის საზღვარზე ბოსნიაში და ჰერცოგოვინაშიო.

—

**იტალია.** 20 ნოემბერს იტალიის პარლამენტში საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა მარკიზ რუდინიმ. ორატორმა მოიწონა კრისპის სამინისტროს გარეშე პოლიტიკა, მაგრამ ძალიან გაჰკიცხა შინაური საქმეების მართვა-გამგეობა. ამ ჟამადაო, სთქვა რუდინიმ, იტალიაში იმგვარივე მმართველობის შინაური პოლიტიკაა, როგორც ბურბონების დროს იყოო. მთავრობა ძალ-მომრეობის გზას ადგიაო და ამიტომ სოციალიზმიცა და ანარხიზმიც ძლიერდებაო. მთავრობის საფინანსო პოლიტიკა მხოლოდ თვალთ-მაქცობა არისო და არა სერიოზული განზრახულება. დასასრულ რუდინიმ სთქვა: იტალიას დიდი განსაცდელი მოელის მომავალში, თუ მალე აღდგენილი არ იქნება სამართლიანობა და თავისუფლებაო. რუდინის სიტყვამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა დეპუტატებზე. სოციალისტმა კოლაიანმა დაასაბუთა რუდინის სიტყვა და ამტკიცებდა—კრისპის სამინისტრო დიდხანს ვერ გასძლებსო. ამ დროს ოფიცერთა ტრიბუნიდამ გაისმა ხმა: „რესპუბლიკას გაუმარჯოს!“ საზოგადოება აირია; პრეზიდენტმა სხდომა შესწყვიტა; ოფიცერი დაატუსაღეს.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ სილოვან კალანდაძეს, რომელმაც „ნოვოროსიიდგან“ ასკანის საერო ბიბლიოთეკას შემოსწირა თხუთმეტი მანეთი.

გამგე ბიბლიოთეკისა სოლომონ მჭეიშვილი.

20 ნოემბერი, 1895 წ.

## საქართველოს თავადნი.

—

თავადნი ამილახვარნი. საქართველოს მეფის როსტომის 1656 წლის გუჯარში ძმანი გივი, დიმიტრი, ზარძამი, პაატა და ძმისწულნი მათნი: ტოტამ და ავთანდილ ამილახვარნი თავადად არიან წოდებულნი.

თავად ამილახვართა გვარეულობა აღნიშნულია ქართლის თავადთა სიაში, რომელიც საქართველოს მეფის ერეკლე II-ის მიერ რუსეთის მთავრობასთან 1783 წ. შეკრულს ტრაქტატსა აქვს ზედ დართული.

20 სექტემბერს 1825 წ. უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფოს საბჭოს განაჩენით თავადად ცნობილნი არიან და V გვარეულობათა წიგნში შეტანილ არიან ძმანი: 1) გენერალ-მაიორი ოთარ რევაზის ძე და შვილნი მისნი: პოდპორუჩიკი რევაზი და გიორგი და 2) აღათონ რევაზის ძე ამილახვარი.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 1850 წ. 31 მაისსა და 4 აპრილს 1856 წ. ამ გვარს შეუერთდნენ რევაზ და კონსტანტინე გიორგის ძენი ამილახვარნი.

შემდეგ ჩამოთვლილნი არიან წევრნი ამა საგვარეულოსანი, რომელნიც 1783 წ. საქართველოს მეფის ერეკლის II-ის მიერ რუსეთის მთავრობასთან შეკრულ ტრაქტატთან ზედ-დართულში არიან აღნიშნულნი ქართლის თავადთა შორის.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 12 მარტს 1852 წ., 9 იანვარს 1857 წ., 12 მარტს 1858 წ., 20 დეკემბერს 1861 წ., 3 და 17 იანვარს 1862 წ.; 9 ოქტომბერს 1868 წ. და 10 დეკემბერს 1884 წ. ამ გვარს შეუერთდნენ და V გვარეულობათა წიგნში შეტანილ არიან: 1) ამირინდო ამირინდოს ძე; 2) დავით ლუარსაბის ძე; 3) ალექსანდრე და ქრისტეფორე გიორგის ძენი; 4) ნიკოლოზ და ილია ალექსანდრეს ძენი; 5) ზაქარია ალექსანდრეს ძე; 6) ზაქარია იოსების ძე; 7) ალექსანდრე ნიკოლოზის ძე და 8) პორუჩიკი გიორგი დავითის ძე ამილახვარნი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

30 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** 30 ნოემბერს გაიხსნა კომისია, რომელიც რკინის გზის საქმეთა დეპარტამენტისაგან არის დანიშნული. კომისიამ უნდა განიხილოს მთელი სისტემა ტარიფისა, შესახებ ნავთისა და ოლეონავთისა რუსეთის რკინის გზებზე. კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ გზათა წარმომადგენელნი, ცეცხლის გემთა საზოგადოება და ბირჟათა კომიტეტები.

29 ნოემბერს ფინანსთა მინისტრმა გახსნა კომისია, რომელმაც უნდა გააუმჯობესოს გასყიდვა მაგარის სასმელებისა.

**პარიზი** (ნოვ.). ფორი არ დათანხმდა პარლამენტში შეეტანათ კანონპროექტი, რომლითაც უნდა დასჯილიყო ის, ვინც რესპუბლიკის პრეზიდენტს შეურაცხყოფას მიაყენებდა.

**რომი.** გაზეთი „იტალ. მილიტ“. იუწყება, რომ სამხედრო მინისტრს უბრძანებია გაგზავნონ აფრიკაში სამი ბატალიონი და ერთი ბატერია.

„ოპინიონე“ სწერს, რომ მთავრობა საჩქაროდ ჰგზავნის აფრიკაში 3000 მეომარს და ორს სამთო ბატერიას. შთანელთა რიცხვი 30,000-მდეა.

**მილანი.** კრისპი მოითხოვს პარლამენტისაგან ხელ-ახალ კრედიტს აფრიკის საქმეების გამო. ნეაპოლში გაგზავნილია ბრძანება, რათა მასსოვას 20,000 ლაშქარი გაგზავნონ. იგზავნება აგრეთვე ჯავშნიანი გემი „ეტნა“.

**კონსტანტინოპოლი.** რუსის ელჩმა მოახსენა სულთანს 24 ნოემბრის ელჩებთა დადგინება, შესახებ მეორე სტაციონერების შეყვანისა სტამბოლში. ელჩმა რუსეთის ხელმწიფის სახელით მოითხოვა დადგენილების აღსრულება. 28 ნოემბერს სულთანმა მოაწერა ხელი ბრძანებას, რომლის ძალით მეორე სტაციონერების შეშვება ნება დართულია, რაიცა გამოეცხადა ელჩებს.

**სოფია** (ნოვ. ვრემ.). უკანასკნელ დღეებში სტამბოლისაკენ 100 ავსტრიისა და ინგლისის აფიცერმა გაიარა ინკოგნიტოდ.

## „ივერიის“ ფოსტა.

—

**ქ. ოზურგეთს —მიხეილ თუმანიშვილსა და ქ. პიატიგორსკს—გიგო თოიძეს.** დეპეშები, რომლებიც ჩვენ მოგვივიდა და ან რომლებიც გადმოგვცეს, როგორც წინადაც გვქონდა ნათქვამი ყველა მოხსენებული იყო.


## განცხადებანი

გამოვიდა კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

1) „საჩუქარი“ (ლექსთა კრება) მოზრდილ ყრმათათვის. შეკრებილი ი. გომელაურის მიერ. 48 გვერდი, ფასი ერთი შაური.

2) „დემონი“ მ. ლერმონტოვისა. თარგმნილი მ. გურიელისა. ავტორის, მთარგმნელისა და 8 სხვა სურათით კარგს ქაღალდზედ. ფასი 10 კ.

3) „ქალები“ (ანუ ყველა მეცნიერთა და ფილოსოფოსთა თქმული და გაგონილი ქალების შესახებ). შეკრებილი თ. სახოკიას მი ერ. სურათით, მშვენიერს ქაღალდზედ 20 კ.

4) „რამდენიმე ლექსი“ ანდრო უჩამეიშვილისა, ფ. 15 კ.


Дозволено цензурою, Тифлисъ 30-го Ноября 1895 г.    სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.    რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.